



წელიწადი მესამე

წელიწადი

სამეურნეო ჟურნალი

# მოსავალი



მარტი 15

№ 6

განცხადება... **მ. ი. ნ. ა. რ. ს. ი.** ...

- ვ. რცხილაძე . . . . . ორი ხარჯი-ადრინჯა . . . . . 3
- გ. ნახუცრიშვილი . . . . . ფალოქსერის მოკლე ისტორია და ამერიკული ვაზი . . 4
- მლ. ალ. ჯალიაშვილი . . . . . ფუტკარი . . . . . 8
- გრ. ცხადაძე . . . . . შინაურ ცხველთა ვუჭის დამზადება უზომო ჭმით . . . . 11
- ს. კახელიძე . . . . . გლეხ-კომპარატორის სახელმძღვანელო . . . . . 13

**საყურადღებო ცნობები:**

- ე. მაჩაბელი . . . . . ვეკრულებსაგან წიწილების დაწრდა . . . . . 16
- განცხადება . . . . . 16

# სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი ზიარებისა: — ახოშვილი ვ., ანაზღეული, ახალაია ი., ბერეკაშვილი კ., გულბათიშვილი ვ., გვარამაძე კ., გორთამაშვილი ვ., ელიაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კახელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარაელი ვ., ზაჩაბელი ა., მდივანი დ., შჭელიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ. ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე ს. გ. ვ., რცხილაძე ს. გ., ფურცელაძე ი., ფლავანდიშვილი დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე ვ., ქარცივაძე მ., ყიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხადაძე გ. რ., ჯუნდაძე ს., შავლიცივი პ., ჯანაშვილი მ., ჯიქია ლ., კახელი შვეენახე, სემიონოვი ექიმი.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

## თანამშრომელთა საქუბადღებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზეთ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამუგლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრეღვე ყველა სამეურნეო ნაწარმების შექმნა-გასაღებაში.

**განცხადებები** დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფახოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

**ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.**

რედაქციის ადრესი: Тифлиси, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ი. რცხილაძე**



# ორი ხარჯთ-აღრიცხვა

როგორც საპატიო ადგილს იჭერს თან-დათან რუსეთში ზრუნვა მეურნეობაზე ცხადად სიანს ქვემოთ მოყვანილ ცნობებიდან. იქნება ამათ მიიწე ჩააფიქრონ ჩვენი საზოგადოება და ცოტათი მიიწე შეაცვლევინონ ის საწყაო, რომლითაც მიეუწყავთ ხოლმე ჩვენის მცირედი შეძლებიდან ჩვენს სხვადასხვა გაკვირვებებს ყოველწლივ.

## პირველი

რუსეთის მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს აი როგორი ხარჯთ-აღრიცხვა შეუდგენია 1911 წლისათვის.

მთელი კრედიტი დეპარტამენტისა შეადგენს **12 365.026 მან.**

შარშან იყო 4.670.340 მანეთით ნაკლები ამაზე.

კრედიტი იგი განაწილებულია ამნაირად:

1. დეპარტამენტის შესანახი ხარჯი . . . . . 103.413 მან.
2. ადგილობრივ დაწესებულებათა შენახვა
  - ა) ს.-სამეურნეო დაწესებულებისა . . . . . 133.997 "
  - ბ) ზღვა-ტბათა ღმირე წყალთა სარეწავებისა . . . . . 479.637 "
  - გ) მოხელეპირთა ზედმეტ დასაჯილდოებლად . . . . . 5.370 "
3. სხვადასხვა ხარჯი აღმინისტრაციისა . . . . . 40683 "
4. მოხელეთ გაგზავნ-გამოგზავნა . . . . . 129600 "
5. სხვადასხვა ხარჯი მართვა-გამგებლობაზე . . . 43.900 "

6. ს.-სამეურნეო გამოცემებზედ . . . . . 200.000 "
7. უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლის შენახვა . 213.771 "
8. საშუალო სამეურნ. სასწავლებლების შენახვა . 844.508 "
9. დაბალი ს.-სამეურნეო სასწავლებლების შენახვა და სხვა ზომები სამეურნეო სწავლა-განათლების გასავრცელებლად . 1.795.741 "
10. სხვადასხვა ხარჯი ს.-სამეურნეო სასწავლებლებზე . . . . . 305.300 "
11. მეურნე-ტექნიკების ჯამაგირი . . . . . 1.414.063 "
12. საცადი და საჩვენებელი დაწესებულებანი . 1.687.842 "
13. საზოგადო ზომები მეურნეობის გასაუმჯობესებლად . . . . . 2.644.621 "
14. სამეურნეო რჩევა-დარიგების მიცემა სახალშენო რაიონებში . . . 510.000 "
15. სამეურნეო დაწესებულებათა ახალი შენობების აგება და ძველების შეკეთება . . . . . 1.812.580 "

სულ . . **12.365.026 "**

ამ საერთო რიცხვიდან რომ გამოვიდეთ რაც თვით დეპარტამენტის შენახვაზე, აღმინისტრაციაზე, სათევზაო დაწესებულების მართვა-გამგეობაზე არის გადადებული, მივიღებთ **11.562.423 მ.**, რომელიც ასე გაიყოფა:

1. სამეურნეო სწავლა-განათლება . . . . . 4.773.383 "
2. საცადი და საჩვენებელი დაწესებულებანი . 1.687.842 "



3. სხვადასხვა ზომათა პირ-  
დაპირი განხორციელებ-  
ბა ცხოვრებაში . . . 5.101.198 „  
სულ . . . **11 562,423 „**

ეს თანხა მთელი დეპარტამენტის კრე-  
დიტის თითქმის 93,20% უდრის.

**მეორე.**

ყველა ერობათა სავარაუდო ხარჯი  
რუსეთში 1911 წლისათვის მეურნეო-  
ბის ხელის შესაწყობად და მის ნაყო-  
ფიერების გასაძლიერებლად ნაანგარი-  
შეგია სულ **6.695.700** მანეთი. ხარჯი  
იგი განაწილებულია ამნაირად:

1. ცეცხლისაგან დამცველ  
ორგანიზაციების მოსა-  
წყობად . . . . . 74.500 მ.
2. ს.-სამეურნეო საზოგა-  
დოებათა დასახმარებ-  
ლად. . . . . 272.400 „
3. ს.-სამეურნეო საზოგა-  
დოებათა ბუნებრივ პი-  
რობების გაუმჯობესო-  
ბაზე . . . . . 360.200 „
4. ს.-სამეურნეო ნაწარ-  
მოებთა გასაუმჯობე-  
სებლად . . . . . 2 849.600 „
5. ს.-სამეურნეო ნაწარ-  
მოებთა გასასაღებლად  
უკეთესი პირობების შე-  
ქმნისათვის . . . . . 71.900 „

6. წვრილი მრეწველობის  
გასაძლიერებლად. . . . 770.700 „
  7. დარ-ამინდის გამოსაკე-  
ლევად სამეთვალყურო  
სადგურების მოწყობა-  
ზედ. . . . . 21.600 „
  7. სამეურნეო რჩევა-და-  
რიგების მისაცემად კო-  
მიტეტების დაარსებაზე  
და მათ შენახვაზე . . . 1.626.900 „
  9. ერობათა დასახმარებ-  
ლად . . . . . 231.200 „
  10. სხვადასხვა ხარჯებათ. 416.700
- სულ . . . **6.695.700 „**

1909 წელს ამ მიზნითვე ყველა ერო-  
ბანი ერთად ხარჯავდნენ **3.088.700** მა-  
ნეთით **ნაკლებს**.

ამგვარად ამ ორი უკანასკნელი წლის  
განმავლობაში ზრუნვა მეურნეობის  
წარმატებისაკენ მიმართული იმდენად  
გაძლიერდა მთელ რუსეთში, რომ დღეს  
მიწად-მოქმედების დეპარტამენტიც და  
ყველა ერობანიც ერთად მთელი თა-  
ვიანთი შეძლებიდან ერთი-ორად მეტს  
ხარჯავენ ამ საქმეზე, ვიდრე ამ ორის  
წლის წინად.

ჩვენ კი ისევ ჩვენებურად, ძველებუ-  
რად ვთვალხუჭუნაობთ...

**ვ. რცხილაძე**

# ფილოქსერის მოკლე ისტორია და ამერიკული ვაზი

## სალმრწმე ვაზების დარგვა

კიდევ მოვავგონებ მკითხველს, რომ  
ფილოქსერა კარებზედ მოგვადგა. სჯობს  
ახლავე გაუცრუოთ მას იმედი და ჩვე-  
ნებური ნაზფესვიანი ვაზის მაგივრად,  
რომელსაც იგი ტკბილადა სწუწნის,  
დავახვედროთ ამერიკული მწარე ვაზი.  
სხვის იმედზედ ყოფნა ჩვენ არას გვარ-

გებს. ნასყიდი ვაზი ჯერ ერთი რომ  
ძვირად დაგვიჯდება და მეორედ ღმერთ-  
მა უწყის გამოგვადგება თუ არა. მაშ  
უკეთესი იქნება ყველა მამულის პატ-  
რონმა საკუთრივ პატარა სანერგე გა-  
იკეთოს და თავისივე მარჯვენით აკე-  
თოს ნამყენები.

როგორც ზევით მოგახსენეთ, არც  
მცნობაა ძნელი და არც ნამყენების



მოვლა. ნათქვამია „გული გულობდესო, თორე ქადა ორი ხელით იქმებაო“. მაშ დავიწყეთ სალერწე ვაზიდან:

ამერიკული რქა რომ ყოველ წელიწადს სასყიდელი არ გქონდეთ საქირაო თქვენსავე მამულში ჩაჰყაროთ ამერიკული ვაზის რქა. ბევრი თუ ცოტა ეგ თქვენი ვარაუდის საქმე იქნება. მეორე წელიწადს ნამყენისათვის გამზადებული რქა გექმნებათ. რქის ჩასაყარელად ადგილი ასე უნდა დაამზადოთ: თუ შეიძლება შეგწევთ სჯობია მიწა 1/2 არშინზედ გადააბრუნოთ და ისე ჩაჰყაროთ რქა; ძირები რაც უფრო შორი-შორს იქნებიან დარგული იმდენად უკეთესია, სჯობია სიგძე-სიგანეზედ თითო საყენი მისცეთ და თუ ადგილი გენანებათ მაშინ არა ნაკლებ 2 არშინისა. ვინიცობაა მიწის გადობრუნებაც ვერ მოასწროთ მაშინ არხებშიაც შეგძლიანთ დაჰშაროთ. ამ სალერწე ვაზების მოვლა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ თუ ბარი არა, თონხა მაინც არ მოაკლოთ, აგრედვე მორწყაც საქირაო იქნება. მეორე-მესამე წელიწადს უნდა სარი შეუდგათ და რქა ზედ აახვიოთ.

რაც შეეხება გასხვლას—ყოველ წელიწადს მიწის პირათ უნდა გაიხვლას, რომ ვაზის ძირი მაღლა არ წავიდეს. როდესაც თქვენი ვაზები სანამყენეთ გამოსადგე რქას აიყრიან, დაახლოებით მეოთხე წელიწადს, მაშინ რასაკვირველია მყნობის თადარიგსაც შეუდგებით. სანამყენე რქა ამერიკულ ვაზს შემოდგომიდანვე უნდა დაჰკრათ, შეიძლება ადრე გაზაფხულზედაც, მხოლოდ უნდა გახსოვდეთ, რომ თუ ვაზმა გაიღვიძა, მაშინ იმისი რქა ამერიკული იქნება, თუ ჩვენებური ვაზისა, ნამყენისათვის აღარ ივარგებს. შემო-


დგომაზედ მოჭრილი რქა **ჭირველად** საქირაო გადაიჩჩეს; საუკეთესო **სამყენი** ნობ ლერწოდ საშუალო სიმსხოს რქა ითვლება; ძალიან მსხვილი რქა უვარგისია; ჩვენებური დასამყენელი რქაც მომეტებულ შემთხვევაში საშუალო სიმსხოსია; წინააღმდეგ შემთხვევაში რქა მყნობის დროს ძალიან გაწვალვებთ და დროსაც დაგაკარგვინებთ. გადარჩევის შემდეგ რქას კონა-კონებათ შეჰკრავთ დაახლოვებით ორას-ორას ცალს და წინდაწინვე დამზადებულ არხში, რომელსაც 1 1/2 არშინი სიღრმე და 2 არშინი სიგანე უნდა ჰქონდეს, ჩააწყობთ ჯერ ერთ პირ კონას; შემდეგ ზევიდან 4 ვერშოკის სისქეზედ მოაყრით ცოტათი ნესტიან ლამს და მეორე პირს მოაყოლებთ. როდესაც არხი გაიმსება ზემოდან მიწას დააყრით, ისე რომ არხს ზემოდან სიმაღლე გაუკეთდეს. ეს იმისთვის რომ თოვლის ან წვიმის წყალი არ ჩავიდეს და რქა არ დააღზოს.

ჩვენებური დასამყენელი რქაც ასე უნდა დამზადდეს. უნდა მოიჭრას ან შემოდგომას ან ადრე გაზაფხულზედ, ვიდრე ვაზს წყალი ჩაუდგება.

ჩვენებურ რქასაც ქვიშა-ლამში ინახვენ. სარდაფებშიაც შეიძლება ორივეს შენახვა. ამნაირად ლერწი და დასამყენელი რქა მზათა გაქვთ. ახლა საქირაო მყნობისათვის იარაღისა და შესახვევი მასალის შოვნა. იარაღად იხმარება სამყნობი დანა **კუნდესი** და ვაზის მაკრატელი. ნამყენის შესახვევათ ხმარობენ უფრო იაპონიის ქილობს **რაფიას**. მყნობის დროს ერთი ხის სტოლიც დაგჭირდებათ. როგორც დანა ისე ვაზის მაკრატელიც ძალიან გალესილი და სუფთა უნდა იქონიოთ. სა



ნამყენო დანა საზოგადოთ ცალი მხრი-  
 დან ილესება. მყნობის დრო ითვლე-  
 ბა თებერვლის ნახევრიდან ვიდრე აპ-  
 რილის გასვლამდე. როდესაც ნამყენის  
 კეთებას შეუდგებით, ამოიღებთ მიწა-  
 ში შენახულ ამერიკულ და ჩვენებურ  
 ვაზებს, რომლებიც კარგად უნდა გა-  
 სუფთაოთ, რომ ქვიშა არ შეჰყვეს  
 წინააღმდეგ შემთხვევაში დანა მალე  
 დაგიჩლიუნდებათ. ამერიკულ რქას და-  
 სკრით მოკლე-მოკლეთ დაახლოებით  
 5-7 ვერშოკის სიგრძეზედ, მხოლოდ  
 ლერწის ბოლო ზედ კვირტზედ უნდა  
 იქმნეს გადაჭრილი. შემდეგ ამისა და-  
 ნითვე შეაჭრით ყველა კვირტებს. ეს  
 იმისათვის რომ კვირტებიდან ყლორტი  
 არ ამოიტანოს და ამით ფესვების გა-  
 მოტანა არ შეფერხდეს. ამ რიგად რო-  
 დესაც საკმარისს ლერწს დაიმზადებთ,  
 ახლა შეუდგებით ჩვენებური ვაზის და-  
 ქრას თითო-თითო კვირტზედ დაახლო-  
 ებით ვერშოკის სიგრძეზედ. შემდეგ  
 აიღებთ დამზადებულ ლერწს და ბოლო  
 კვირტის მეორე მხრიდან დანის ერთი  
 დასმით ირიბად გადასჭრით. დანა ცო-  
 ტა კვირტის ქვემოდან უნდა დაუსოთ.  
 დანა და ლერწი ისე უნდა დაიჭიროთ  
 ხელში, როგორც ნაჩვენებია სურათზედ.



სწორედ ამნაირად წააჭრით დასამყ-  
 ნელ კვირტსაც, ამასაც კვირტის მეო-  
 რე მხრიდან, ისე რომ ლერწისა და  
 დასამყენელი კვირტის სიგრძე ერთი  
 ზომისანი იყვნენ როგორც მონაჭრებით  
 ისე სიმსხოთიც. წანაჭერი სიპრტყე არ


უნდა იყოს მეტად გრძელი, არამედ  
 საშუალო სიგრძისა. შემდეგ ამისა  
 ორივეს ჩაეჭრება ენები. ამისათვის ასე  
 უნდა მოიქცეთ:

ამოაბრუნებთ ლერწს და აჭრილ მხა-  
 რეს თქვენკენ უზამთ პირს. სადაც რომ  
 ლერწის გული იწყობა ცოტა იმის  
 ზემოდან დაადებთ დანის პირს და სწო-  
 რედ ჩააჭრით ენას, სწორედ მონაჭე-  
 რის ნახევარ სიგრძეზედ. ასევე გაუ-  
 კეთებთ დასამყნობ კვირტსაც და შემ-  
 დეგ ერთმანეთში ჩასხავთ.

მყნობის დროს უმთავრესი საქმე ის  
 არის, რომ როდესაც ჩვენებურ კვირტს  
 და ლერწს ერთმანეთში ჩასხავთ, ერთ-  
 მანეთს ისე უნდა გაეწყონ, რომ იმათ  
 შუა ღია ადგილი არ დაჩჩეს. რა თქმა  
 უნდა კარგად გაწყობილი ნამყენი უფ-  
 რო უკეთ შედგულდება და შემდეგში  
 დიდ გამძლეობასაც გამოიჩენს.

კარგი დახელოვნებული მყნობე-  
 ლი მუდამ დანის ოთხი დასმით გააკე-  
 თებს ნამყენს; თითო დასმა ლერწი-  
 სა და სანამყენე კვირტის წასაჭრელად  
 და თითოც ენების ჩასაჭრელად. ეს  
 დამოკიდებულია ხელის გავარჯიშება-  
 ზედ.

გაკეთებთ თუ არა ნამყენს მაშინა-  
 დვე საჭიროა იმის შეხვევა. შესახვევათ  
 როგორცა ვსთქვით რაფიას ხმარობენ.  
 ნამყენის ადგილას უნდა შემოახვიოთ  
 ქილობი ისე კი რომ ჯერ ერთი ლერ-  
 წი და კვირტი არ დასძრათ და მერე  
 ერთ პირ რაფიას რომ შემოატარებთ,  
 მეორე პირი პირველს ცოტათი და-  
 შოროთ; ჩასცდებით თუ არა ნამყე-  
 ნის ადგილს რაფიას გამონასკვავთ. რაც  
 უფრო ჩქარა დარგავთ ნამყენს იმდენი  
 უკეთესია, მაგ., დღევანდელი გაკეთე-  
 ბული, რომ ხვალ ჩაჰყაროთ, მაშინ მე-



ტი იმედია რომ უფრო კარგა იხარებს, ვიდრე სამი-ოთხი კვირა ლამში შენახული. უკეთუ ამ დროს უამინდობაა, ამ შემთხვევაში გამოდარებადლის ლამში შეინახავთ.

**ნამყენის სანერგე.** ნამყენის სანერგეთ თქვენი მამულის საუკეთესო კუთხე უნდა ამოარჩიოთ. სჯობია მზიან ვაკე ადგილას იყოს და ცოტა მაღლობზედ, რადგან დაბალ ადგილებში ნამყენი ადვილად ხდება ავად. ნამყენისათვის მიწა უსათუოდ ფხვიერი და ნოყიერი უნდა იყოს, მეტადრე პირველ თვისებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ ნამყენი ფხვიერ მიწაში კარგ ფესვსაც იკეთებს და ადვილად უდუღდებათ ერთმანეთს. ერთი სიტყვით ლამიანი ადგილები საუკეთესო მიწებათ ითვლებიან. რაც შეეხება სანერგეს დამუშავებას, ამას რაც აღრე მოახერხებთ იმდენად უმჯობესია, ესე იგი შემოდგომიდანვე უნდა შეუდგეთ მიწის გადაბრუნებას, საზოგადოდ მიღებულია 12 ან 8 ვერშოკი სიღრმე.

გაზაფხულზედ, დადგება თუ არა ნამყენის დარგვის დრო, მაშინ ერთი დღის წინ გადაბარულის ზედაპირი უნდა კარგად მოსწორდეს, ამისათვის ურიგო არ იქნება ზედ ფარცხი მოტაროთ. შემდეგ ამისა შეუდგებით ნამყენის დარგვას. ნამყენს რგავენ სხვადასხვა ნაირად, მაგ. რკინის ჯოხის შემწეობით ან ბარით.

პირველი საშუალება უფრო გავრცელებულია, მეტადრე მაშინ, როდესაც ცოტა ნამყენი გაქვთ ჩასაყრელი. სულ პირველად საჭიროა თოკის შემწეობით მიწაზედ სწორე ხაზი გაველოთ. შემდეგ შეუდგებით რკინის

ჯოხით ორმოების ჩახვრეტას. ეგრემდე დასრულდეს ორმომდის 4 ვერშოკი კმარა, ხოლო წკრიდან წკრემდე 12 ვერშოკი. ორმოების გამკეთებელს უკან მისდევს მეორე მუშა, რომელიც რგავს ნამყენებს. ნამყენი ისე უნდა ჩაუშოთ მიწაში, რომ რაფით შეხვეული ადგილი ცოტათი დასცდეს მიწის ზედაპირს. ჩაყრის უმაღვე საჭიროა ორმოში მიწის ჩაყრა და დატყეპნა. ძალიან უნდა ეცადნეთ, რომ ორმოში ცარიელი ადგილი არ დარჩეს, რადგან ვაჭი ადვილად შეიძლება დაობდეს და ფესვსაც არ გაიკეთებს. ჩასატყეპნად ხმარობენ ხის ჩხირს. დაამარებთ თუ არა ნამყენს, მერე ზევიდან 4 ვერშოკის სისქეზედ ფხვიერ მიწას წაყრით, ეს იმისათვის რომ ნამყენი ადგილი სიცხემ და ნიაჴმა არ გააშროს. მიწას საზოგადოდ თოხით აყრიან, მხოლოდ ძალიან სიფრთხილედ უნდა რომ მიწის მიყრის დროს ნამყენი არ დაიძრას. ვინც ცობაა ნამყენის დარგვის შემდეგ ხანგრძლივი აედრები დაიჭირა, მაშინ გამოდარების დროს ურიგო არ იქნება ზედ მიყრილი მიწა ცოტათი გადააცალოთ, რომ ვაჭი არ დალპეს და ნამყენის ყლორტიც ადვილად ამოვიდეს მიწიდან.

**სანერგეს მოვლა.** დაახლოვებით დარგვიდან 7 კვირის შემდეგ ნამყენი ამოიტანს ყლორტს. ხშირად ამერიკულ ვაზსაც ამოაქვს ყლორტი, მაგრამ ეს უკანასკნელი არასოდეს არ უნდა შეარჩინოთ, რადგან ვაზს ფესვის გამოტანას და ნამყენის შედუღებას ცოტად თუ ბევრად ხელს შეუშლის. ნამყენი ამოიხეთქავს თუ არა ყლორტს მაშინადვე შაბიამანი უნდა შეასხუროთ. ამავე დროს საჭიროა თვითოეული ნა-



მყენის გასინჯვა, რომ ჩვენმა დამყენი-  
მა კვირტმა ფესვი არ გაიკეთოს და არ  
დამსხვილდეს. ამისათვის ფრთხილად  
შემოაცლით მიწას და თუ ფესვი აქვს,  
მჭრელი დანით ფრთხილად მოაჭრით.  
მხოლოდ მიწა ისევე უნდა მიაყაროთ.  
სამყოფია ორჯელ გასინჯვა, მეორეთ  
მარიამობისთვის ნახევარში, ამავე დროს  
შაბიამანსაც უსხურებთ. სანერგე საზო-  
გადოდ ძალიან სუფთად უნდა შეინახოთ  
რომ ბალახი არ მოერიოს და მიწაც  
მუდამ თხვეერი იყოს. მაშასადამე გა-  
თოხნაც სამჯერ ან ორჯერ დაგჭირდე-  
ბათ. თუ გვალვიანი წელიწადი დაუდგა,  
მაშინ ორჯელ ან ერთხელ მაინც მორ-  
წყვაც მოუნდება. ენკენისთვეში თუ  
სიცხეები არ არის, სჯობია ნამყენებს  
მიწა შემოაცალოთ, რომ ნამყენის ად-  
გილს ჰაერმა დაჰკრას და გაამაგროს.  
შემოდგომამხედ, როდესაც ნამყენს ფო-  
თოლი ჩამოსცვივა უნდა ამოიღოთ ბა-

რით, მხოლოდ ფრთხილად კი. რომ ფე-  
სვები არ დაუზიანოთ. ამოღებული ნა-  
მყენები საჭიროა გულდადებით გადაირ-  
ჩეს, რადგან სავენახეთ მხოლოდ კარ-  
გად შედუღებული ძირები ივარგებს.  
იმის გასაგებად, კარგად არის შედუ-  
ღებული ნამყენი თუ არა, აიღებთ ნამ-  
ყენს, ერთ ხელს წაავლებთ ნამყენ  
კვირტს და მეორეს ამერიკულ ლერწს  
და ფრთხილად გადასწევთ, ამ დროს  
თუ ნამყენის ადგილმა პირი არ დაა-  
ლო, მაშ კარგად ყოფილა შედუღე-  
ბული. გადარჩეულ ნამყენებს ყლორ-  
ტები თითო კვირტზედ უნდა დაექრას.  
თუ გაზაფხულამდის გინდათ ნამყენის  
შენახვა, მაშინ ას-ას ცალს კონა-კონე-  
ბათ შეჰკრავთ და ლამში შეინახავთ.  
შეიძლება მყუდრო ალაგას გარედ მი-  
წაშაიაც შეინახოთ.

გ. ნახუცრიშვილი

(შემდეგი იქნება)

# ფუტკარი

(დასასრული \*)

**ცხენით, ვირით** და სხვა ამგვარი  
საკიდრებითა ფუტკარების ზიდვა სწ-  
ხერხოა და უზიანო. ხოლო სკები  
აღრვევ კარგად უნდა იქმნეს გამზადე-  
ბული, რომ არც ერთს ფუტკარს არ  
შეეძლოს სკიდან გამოსვლა, თორემ  
თუ გამწარებულმა ფუტკარებმა რო-  
გორმე მოახერხეს სკიდან გამოფრენა,  
მაშინ ძალიან ძვირად დაუსვამენ ამ  
ცხოველს თავიანთ მყუდროების დარ-  
ღვევას.

გარდა ზოგიერთი მომთაბარე მეფუ-  
ტკარეებისა, რომელთაც სკების საზიდა-

ვად ერთი ადგილიდან მეორეზედ საგან-  
გებო ეტლები აქვთ მოწყობილი არესო-  
რებზედ, ჩვენში მომეტებულ ნაწილად  
ფუტკარი ურმით გადაყავთ. უპირვე-  
ლესად ყოვლისა უნდა ვეცადნეთ, რომ  
ურემი, რაც შეიძლება, რბილად იყოს  
თივით ჩაგებული. სკები უნდა დაედვას  
ისე, რომ ფიჭები ზოლ-ზოლად მოდიო-  
დნენ ურმის თვლებთან. ფიჭების სიბრ-  
ტყეზედ დაწყობა იმითი არის საშიში,  
რომ ურმის აღმართ-დაღმართზედ ასე-  
ლა-დასვლაში ფიჭებიც სიბრტყეზედ  
დაიწყებენ გაქან-გამოქანებას და ადვი-  
ლად იმტვრევიან შიგ ყუნწყშივე. ამის  
გარდა თვითვეული სკა მაგრად უნდა

\*) იხ. „მოსავალი“ № 5.



დაეკრას თოკით, რომ გზაში არ და-  
ფონდნენ და ერთმანეთს არ დაუწყონ  
ბრახუნნი. ამისთანავე ურემზედ რაც  
უფრო წინ ეწყობა სკები, იმდენად  
კარგია, რადგანაც ურმის წინა ნაწი-  
ლი ნაკლებად ინძრევა.

ფუტკარებს მოგზაურობის დროს  
შედარებით უფრო მეტი ჰაერი სკირ-  
დებთ; ამისათვის სკის სათვალეები  
ისე არ უნდა იქმნას დახშული რომ  
ჰაერის მოძრაობა სკაში სრულებით  
შესწყდეს, პირიქით, უფრო უნდა გა-  
უფართოვდეს.

რაც შეეხება თვით დროს, როდეს-  
საც უნდა მოხდეს ფუტკარების გადა-  
ტანა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხელს  
ამინდში, მაგალითად ზაფხულში, რო-  
დესაც ფიჭები შესამჩნევად ჩვილდება  
და სკაში საშინელი სიცხის ბული დგე-  
ბა, სკების გადატან-გადმოტანა შესაძ-  
ლოა მხოლოდ ღამდამობით და მასთან  
შესაფერი ზომების მიღებით, რაზედაც  
ქვემოთ გვექნება დაწვრილებით საუ-  
ბარი (იხ. „მთაბარობა“); თორემ ფიჭები  
სულ მთლად აიზილებიან და ფუტკა-  
რიც დაილუბება. ხოლო ადრე გაზა-  
ფხულობით და შემოდგომობით კი, რო-  
დესაც ფიჭები ძალზე მაგრდება და ჩა-  
მოყდლის მხრივ შიში არ არის, სკების  
ზიდვა დღისითაც შეიძლება. ოღონდ  
სკები წინა საღამოთივე იყოს სამგზავ-  
როდ გამზადებული, რომ წალბამდე  
ფუტკარებმა ვერ მოასწრონ სამუშაო-  
ზედ გასვლა.

**სკების მოთავსება საფუტკარეზედ.**  
სკები საფუტკარეზედ უნდა დაიდგას  
ბოძკინტებზედ, ან აგურებზედ, რომ  
4—8 ვერშოკით მაინც ჰშორავდნენ  
დედამიწას. ამით იხსნით ფუტკარის  
ოჯახს სინესტისაგან, სკის ფეხებს დალ-

პობისაგან და თვით მეფუტკარისთვისაც  
სახერხო იქნება მუშაობა.

აგრედვე არც ნამეტან მჭიდროდ  
უნდა იქმნენ სკები ერთმანეთზედ მი-  
დგმულნი: ასეთს შემთხვევაში ბევრს  
ფუტკარს ერევა თავისი ბინა, ნამეტ-  
ნავად ახალგაზდა დედებს, შედიან  
უცხო სკაში და ილუბებიან. ამ უბე-  
დურობის თავიდან ასაცდენად სკები  
უნდა მოთავსდნენ ისე, რომ მათ შუა  
იქნეს დატოვებული თავისუფალი ად-  
გილი არა ნაკლებ 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>—2 არშინისა.

გარდა ამისა მეფუტკარეს ესეც უნდა  
ჰქონდეს მხედველობაში მიღებული,  
რომ სკების ზურგები შექცეული იყოს  
იმ მხრისაკენ, საიდანაც უფრო ქარი  
იცის, ხოლო მისაფრენი კი არასოდეს  
არ უნტა ჰქონდეს მიმართული ჩრდი-  
ლოეთისაკენ, რადგანაც ადრე გაზა-  
ფხულზედ მზე ნაკლებად ათბობს სკას,  
დედა სუსტად იწყობს კვერცხის დებას  
და ამის გამო უმთავრეს ღალიანობის  
დროს, როცა მინდორი სავსეა თაფ-  
ლიანი ყვავილებით, ასეთ სკებიდან  
ნაკლები მუშა მიდის საშოვარზედ.

**ფუტკარების გადაყვანა უბრალო  
სკიდან ჩარჩოიან სკაში.** ეს საქმეც  
შესაფერს გამოცდილებას მოითხოვს.  
ამისათვის ახალ მეფუტკარებს ვურჩევთ  
ასეთ შემთხვევებში ყოველთვის გამო-  
ცდილს მეფუტკარეს სთხოვდნენ დახვე-  
რებას. მაინცა და მაინც ახალ მეფუ-  
ტკარეთათვის პირველად შეძენილ ფუ-  
ტკარების გადასხმა ჩარჩოიან სკებში  
აუცილებელი საჭიროებად არ უნდა  
ჩაითვალოს: უბრალო სკებში მოთავ-  
სებული ფუტკარი შეიძლება დედა-  
ფუტკარად დასტოვონ და მხოლოდ ახა-  
ლი ნაყარი მოათავსონ ჩარჩოიან სკე-  
ბში. შემდეგ როდესაც მეფუტკარეობას



უფრო უკეთ გაეცნობიან, მაშინ ამ უბრალო სკებიდამაც შეეძლება გადასხმა ჩარჩოიან სკებში.

ფუტკრების გადასხმა ყოველ დროს შეიძლება, მაგრამ უფრო საუკეთესო დროა მარტი და აპრილი, ან შემოდგომა, როდესაც არც ძალიან ცხელია და არც მომატებული მატლია სკაში.

ფუტკრის გადასხმა ასე ხდება: შუადღისას როდესაც ფუტკრის მუშაობა უკვე დაწყებულია და მაშასადამე მრავალი ფუტკარი მინდორშია გასული, იმ სკას, საიდანაც ფუტკრის გადატანა გვწადიან, გადავდგამთ საფუტკრის გარედ\*) და მის ალაგას ვდგამთ ცარიელს სკას, გარეგნულად პირველის სკის მინაგვარს. სასურველია რომ ცარიელ სკაში წინაღვე მიეცეს ცარიელი ფიჭა და კოლოფში დამწყვედული დედა. ასეთს შემთხვევაში მინდვრიდან დაბრუნებული ფუტკარი, რომელიც ცარიელ სკაში შედის, აღარა დედავს და ჩვეულებრივი მზრუნველობით ჰზოგავს ამ ფიჭაში მინდვრიდან მოტანილ სარჩოს.


გადადგმულს სკას ოდნავ დაუბოლებთ, მერე ამოვაბრუნებთ თავდაყირა და დავდგამთ მაგიდაზედ, შემდეგ ავხდით ძირს და აღმაცერად მიუღვამთ პატარა კალათას, ან ხოკერს, რომელიც სკაზედ კარგად უნდა დამაგრდეს, რომ მუშაობის დროს დაბლა არ ჩამოვარდეს. ამის შემდეგ სკას ძირიდან დაუ-

\*) მაგრამ უკეთესია, თუ ამ საქმეს შევასრულებთ ოთახში, ვინაიდან ახდის ჰაერზედ ფუტკრის გადასხმა ხშირად ქურდობას ჰბადავს საჭიროა ფანჯრების კალთებზედ გაეფინოს ტირომ ფანჯრებიდან ჩამოფანტული დაქანცული ფუტკრების აკრეფა და სკაში ჩაბღერტვა შეიძლება დედა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მრავალი ფუტკარი დაიღუპება.

წყებთ ჯობით ბრახუნს. შემინგებულ ფუტკრები ხარბად ეწაფებიან ხაფხულს და როდესაც გაივსებენ ჩიჩხვს, იმ წამსვე დაიძვრიან ქვევიდან ზევით. 10—20 წუთის შემდეგ დაიწყებენ კალათაში გადასვლას. ჯობით ბრახუნის დროგამოშვებით უნდა შესწყდებოდეს ხოლმე და კვლავ განახლდებოდეს თანდითან ზევით აწევით, თუ კალათაში გადანავალ ფუტკარს დაუკვირდებით, ადვილად შევნიშნავთ ფუტკრების დედასაც, რომელიც ამ შემთხვევაში ფუტკრების ზურგებზედ მიაგლარჯუნებს ხოლმე.

იშვიათი შემთხვევაა, რომ ფუტკარი სკიდან მთლად გადავიდეს კალათაში, მაგრამ ეს არც იმდენად საჭიროა, ოღონდ კი დედა არ დარჩეს სკაში.

როდესაც მრავალი ფუტკარი უკვე გადასულია კალათაში, მაშინ მოვხსნით სკას კალათს და ფრთხილად დავიწყებთ პურების ამოჭრას, რომ არც ფუტკრები დავაზიანოთ და არც დედა, თუ ვინიცობა სკაშივეა დარჩენილი და კალათაში არ გადასულა. თითოეულ ამოჭრილ პურიდან ფუტკრებს ჩავბღერტავთ ჩოთქით კალათაში ან თვით სკაშივე და მერე ისე ჩავაწყობთ ცარიელ ჩარჩოებში, რომლებიც ადრევე უნდა იყოს დამზადებული ასე: ცალი მხრივ გარდიგარდმოთ გაეკვრის თხელი და ნეკის სისწლო ფიცრის წკებლები ორი ვერშოკის დაშორებით ერთი-მეორეზედ. მეორე მხრიდან მჭიდროდ და ზედგამოწყობით ჩავაწყობთ ჩარჩოში პურებს, მაშინ ამ გვერდიდანაც გადაუხარიხებთ ისეთსავე ფიცრის წკებლებს. ჩარჩოში ცარიელი ადგილები არ უნდა დარჩეს, ყველგან ფიჭის ნაქრები უნდა ჩაეკეროს, რომ ფიჭა



ჩარჩოში უფრო უკეთ გაჩერდეს. ჩაბარტილი ფიჭების გაწყობის დროს დიდი სიფთხილე გვმართებს, რომ ბარტი არ დაუზიანოთ.

ასე გაწყობილს ჩარჩოებს ჩადგავთ ახალ სკაში და შემდეგ შევადრებთ თვით ფუტკარსაც, როგორადაც ახალ

ნაყარს, და გადაგვაქვს იმ ადგილზედ, სადაც ძველი სკა იდგა. აქ ნაღვამი დროებით სკიდანაც წამოვებრტყავთ ფუტკარს ახალ სკის წინ მიფენილ ტილოზედ, ხოლო დამწყვდეული დედა თუ ამ სკაშია, გადმოგვყავს თავისავე ბინაზედ. მღვდ. ალ. ჯალიაშვილი

## შინაურ ცხოველთა კუჭის დამძიმება უზომო ჭაბით

შინაური ცხოველები ზოგჯერ იმოდენა საჭმელსა სჭამენ ხოლმე, რომ მონღლებსა ფჭირთ. ეს მოსდით უმეტესად ხარბი და ჩქარი კამით. როცა ცხოველს უჩვევ ცხოველთან ერთად მისცემენ საჭმელს, ერთი მეორეს ეჯიბრებიან ჭამაში, დაუღეჭავს ჰყლაპავენ და ბოლოს ასეთი ჯიბრით შეიძლება იმდენი შეჭამონ, რამდენსაც მათი კუჭი ვერ მოერევა.

ამნაირადვე უზომოდ შეიძლება გაივსოს კუჭი დიდი ხნის ნამშვევა ცხოველმა, როცა იგი ერთბაშად წააწყდება ბევრ საჭმელს. ესევე შეიძლება დამართოს იმ ცხოველსაც, რომელსაც უზომოდ მისცემენ ისეთ საჭმელს, რომელიც მას ძლიერ უყვარს.

ზოგჯერ კუჭის უზომოდ გატენის მიზეზი თვით საჭმელის თვისება არის. მაგალითად მარცვალს (პურის ხორბაბალი, სიმინდი, ლობიო, ცერცვი, ქერი, ოსპი, ცერცვალა და სხვ.) ისეთი თვისება აქვს, რომ, როგორც კი ცოტათ შელობება და შეთბება, გაჟივდება და გაფართოვდება ერთი-ორად. ამისი მაგალითი უთუოდ ყველას უნახავს გლეხებულ მარცვალზედ, ან-და მოსახარშავად ცეცხლზე მიდგმულ ლობიოზე. ზოგჯერ ლობიო ხარშვის დროს საღულარში აღარც კი თავსდება და

გადმოიბნევა ხოლმე. შეიძლება ქოთანის კიდევაც გაირღვას ზოგჯერ. კუჭის მდგომარეობაც ასეთია ხოლმე, როცა ცხოველს მარცვლეულობას მისცემენ საჭმელად უზომოდ.

ამ შემთხვევების გარდა, შეიძლება აგრედვე ცხოველმა უზომოდ გაიტენოს კუჭი ავადმყოფობის მიზეზით. არის ერთნაირი ავადმყოფობა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ცხოველს არა-ჩვეულებრივი მადა აქვს აღძრული; სჭამს დაუსრულებლივ, მგელივით ხარბად, კუჭი უზომოდ ვესება, მაგრამ მაინც ვერ იგებს გაძლომას. ეს ავადმყოფობა დაკავშირებულია სტომაქის მოშლასთან და ეწოდება „მგლური მადა“.

გატენილი კუჭის კედლები ვეღარ განძრეულან და ამიტომ საჭმელის მონღლებაც შეუძლებელი ხდება. ამასთან კუჭს ბევრი ალაგი უჭირავს, აწვება ფილქვებს, გულს და დანარჩენ შიგნულ ორგანოებს; სისხლის მოძრაობა ცხოველს ეშლება, სუნთქვა უძნელდება; მუცელი სტკივა, სწუხს; გულის რევა აქვს, პირიდან ლორწო გადმოდის, სახე შეშინებული აქვს. მცოხნავი ცხოველი ვეღარ იცოხნება; ცხოველი იგუდება.

**ექიმობა.** ცხოველს უნდა მუცელი დაეზუზილოთ, დიდ ცხოველებს სკიპი-



დარს წავსცხებთ მუცელზედ და მერმე დავუზღვრავთ მჩვრით, ან-და ჩალის ნა-მჯით ან თივით, შემდეგ გავატარ-გამო-ვატარებთ. თუ კუჭი მეტის-მეტად არაა გაფუჭებული, ეს საშუალებაც საკმაოა.

ამის გარდა ცხოველს გავუკეთებთ ოყნას თბილი წყლით, რომელიშიაც შევურევთ ცოტა ზეთს (ზეითუნის, სე-ლის, კანათის ან საჭმელი ზეთი), ან ნავთს ან-და ცოტა საპონს გავხსნით შიგ. დიდ ცხოველებს ოყნის გაკეთე-ბის წინ შევუყოფთ ხელს უკანა ნაწ-ლევი (ყიტა წელში) და რაც იქ ნახვი იქნება გამოვუღებთ გარედ. ოყნას ყო-ველ  $\frac{1}{4}$  საათში გავუმეორებთ.\*)

გარედან ტანზედ გავუკეთებთ თბილ კომპრესს ამნაირად: დავასველებთ ტი-ლოს (ტომრების ნაჭრები შეიძლება გამოვიყენოთ ამისთვის), გავსწურავთ ცოტათი და შემოვაფენთ ცხოველს მუცელზე და ზურგზე ისე, რომ ეს ადგილები მთლად დაეფაროს; მერმე-ბადს, ამ სველ ტილოს გარედან შემო-ვაფენთ მშრალსა და თბილს რამეს: შალს, ნაფლანელს ან საბანს და შე-ვუხვევთ. ამით ცხოველს შედავათი მიეცემა, ტკივილი მუცლისა უკლებს.

მცოხნავ ცხოველებსაც და ხორცის მჭამელებსაც სასაქმებელს დავალევი-ნებთ. ასეთი საშუალებანი მცოხნავ ცხოველებს ცოხნას დააწყებინებენ, ხორცის მჭამელებს კიდევ პირიდან ასა-ქმებინებს. ასეთ დასალევიანებელს შეა-დგენენ:

**1. „იპეკაკუანის“ ძირის ფხვნი-ლი.** მსხვილფეხა მცოხნავ ცხოველე-

\*) ოყნა როგორ უნდა გავუკეთოთ ცხო-ველს და როგორი იარაღები უნდა ვიხმაროთ ამისათვის,—ეს იხილეთ ჩემ წერილში, „მოსავალის“ 1910 წლის მე-6 №-ში.

ბისათვის (ხარი, ძროხა, კამეჩი) მისხალი; წვრილფეხა მცოხნავებისათვის (თხა და ცხვარი)  $\frac{1}{2}$ —1 მისხალი. ხორ-ცის მჭამელ ცხოველებისათვის: ლო-რისათვის  $\frac{1}{2}$ —1 მისხალი; ძაღლისა-თვის  $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{2}$  მისხალი. კაცისათვის  $\frac{1}{8}$  მისხალი. მივალებინებთ წყლით ან რძით. ღორს შეიძლება ფაფა გაუკე-თოთ (ცოტა ფქვილს, ცოტა წყალს და ამ წამალს მოვფაფავთ ერთად და ისე მივალებინებთ). კატისათვის შეიძ-ლება „იპეკაკუანის ფხვნილის“ მაგიერ „იპეკაკუანის ღვინო“ ვიხმაროთ, მიე-ცემთ 10—15 წვეთს სიროფით ან თაფლით. თუ არ გასჭრა, კიდევ გაუ-მეორებთ  $\frac{1}{4}$  საათის შემდეგ.

**2) ხშამა ბალახის ანუ აბუსტრაკის ძირი (Бьялая черемица).** მსხვილფეხა მცოხნავ ცხოველებს 1—3 მისხალი; წვრილფეხა მცოხნავებს  $\frac{1}{2}$ —1 მისხა-ლი; ღორისათვის  $\frac{1}{2}$ —1 მისხალი; ძა-ღლისათვის  $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{2}$  მისხალი; კატისა-თვის  $\frac{1}{8}$  მისხალი. მივალებინებთ წყლით ან რძით. „აბუსტრაკის ძირის“ მაგიერ შეიძლება „აბუსტრაკის ტინქტურა“ მივცეთ ავადმყოფს. მსხვილფეხა მცოხ-ნავებისათვის 3 მისხალი; წვრილფეხა მცოხნავებისათვის 1 მისხალი; ღორი-სათვის და ძაღლისათვის 20—30 წვე-თი; კატისათვის 10—20 წვეთი. უნდა მივალებინოთ წყლით ან რძით.

ჩამოთვლილ საშუალებებიდან რო-მელსაც ვიშოვნით, იმას ვიხმაროთ.

ამას გარდა ავადმყოფს მივცემთ გა-სათვალარათებელს:

**1) გლაუბერის მარილი:** ცხენისა-თვის  $1\frac{1}{4}$  გირვანქა მსხვილფეხა მცოხ-ნავ ცხოველებისათვის  $1\frac{1}{2}$  გირვანქა; წვრილფეხა მცოხნავ ცხოველებისათვის 20—25 მისხალი; ღორისათვის 20—22



მისხალი; კატისათვის 1 მისხალი; ძაღლისათვის 5—10 მისხალი.

2) ინგლისის მარილი. ზომა იგივე იქნება, რაც გლაუბერის მარილისა.

ეს საფალარათო წამლები თბილ წყალში უნდა გაიხსნას და ისე მიეცეს:

დიდი ცხოველებისათვის წამალს 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> ბოთლ წყალში გავხსნით, საშუალო ტანის ცხოველებისათვის—<sup>1</sup>/<sub>2</sub> ბოთლში, პატარებისათვის—1 სტაქანში.

მარილების მაგივრად გასაფალარათებლად შეიძლება ზეთებიც ვიხმართ მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუმცა ზეთები კარგ საფალარათო საშუალებებიათ ითვლებიან, მაგრამ აქ აღწერილი შემთხვევისათვის მარილები სჯობიან.

ზეთებიდან ვიხმართ შემდეგს: 1) კასტორის ზეთი; 2) ზეთუნის ზეთი; 3) სე-

ლის ზეთი, 4) კანათის ზეთი და 5) ყველა საკმელი ზეთი.

ა) კასტორის ზეთი ცხენისათვის 1—1<sup>1</sup>/<sub>2</sub> გირვანქა; მსხვილფეხა მცოხნავეებისათვის 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>—2<sup>1</sup>/<sub>4</sub> გირვ. წვრილფეხა მცოხნავეებისთვის 30—45 მისხალი; ღორისათვის 15—25 მისხალი; ძაღლისათვის 10—15 მისხალი; კაცი-სათვის 5—10 მისხალი.

ბ) დანარჩენი ზეთები შეიძლება შემდეგი ზომით მიეცეთ: ცხენს და მსხვილფეხა მცოხნავე ცხოველებს 1—1<sup>1</sup>/<sub>2</sub> გირვანქა; თხასა, ცხვარსა და ღორსა 30—40 მისხალი; ძაღლს 5—15 მისხალი; ადამიანს 1—5 მისხალი.

ზეთი მიიღება პირდაპირ, ან რძით, ან-და მოვეთფავთ ფქვილის საფანელოში ცოტა წყალსაც მიუმატებთ და ისე მიეცემთ.\*)

გრ. ცხადაძე

## გლეხ-კოოპერატორის სახელმძღვანელო

### რა არის კოოპერაცია?

ამ ბოლო წლებში შეუმჩნეველად შემოვიდა ხმარებაში უცხო სიტყვა „კოოპერაცია“.

რას ნიშნავს ესა და რის გამო შეიქმნა იგი სახალხო საუბრის უმთავრეს საგნად?

კოოპერაცია არის იმგვარი შეერთება-შეკავშირება, რომლის საშუალებით გლეხებს და საზოგადოდ მშრომელ ხალხს შეუძლიანთ საერთო ძალღონით გაიუმჯობესონ ცხოვრება და გაიადვილონ შრომა. ასეთი შეკავშირება გავრცელებულია ჩვენს გლეხებშიც, მაგალითად საერთოდ ხვნა, ფარცხვა, მამითაღი, ხანულობა და სხვ.

მაგრამ ყველა ეს მეტად მარტივი კოოპერაციაა.

სამაგიეროდ დასავლეთ სახელმწიფოების გლეხთა შორის კოოპერაცია ძლიერაა განვითარებული და ყოველ მხრივ გამოცდილი ცხოვრებაში.

სიტყვა „კოოპერაცია“ ნიშნავს თანამშრომლობას, ხოლო ყოველგვარ თანამშრომლობას არ შეიძლება კოოპერაცია ვუწოდოთ. თანამშრომლობა დღეს ძალიან არის გავრცელებული და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე შეხედება მას კაცი. მომეტებულ ნაწილად თანამშრომლობა ხალხთა შორის ჩნდ-

\* ) ხორცის-მჭამელ ცხოველების საფალარათო სასმელები ნაჩვენებია კიდევ „მოსავლის“ 1910 წ. მე-21, 22 №№-ში ჩემს წერილში.



ბა რიმიე ძალდატანებით, ხშირად თანამშრომელთა სურვილის წინააღმდეგ. ამასთანავე თვით ნაწარმოებსაც თანამშრომელნი კი არ ინაწილებენ, არამედ მას ისაკუთრებს ერთი პირი კაპიტალისტი. ცხადია ამგვარი ძალდატანებითი თანამშრომლობა კოოპერაცია არ არის.

კოოპერაცია არის მშრომელ ხალხთა თავისუფალი თანამშრომლობა, რომლის მიზანიც არის თვით თანამშრომელთა ცხოვრების და შრომის პირობების გაუმჯობესობა.

II

სხვადასხვა გვარი კოოპერაცია

კოოპერაცია არის სხვადასხვა გვარი: ა) საკრედიტო, ბ) სასოფლო სამეურნეო, გ) მომხმარებელი, დ) კავშირი თანამშრომელთა ანუ არტელი და სხვ.

ა. საკრედიტო კოოპერაცია

ფულის საჭიროება სესხად ყველა მეოჯახე გლეხისთვის ჩვეულებუივი მოვლენაა, ზოგჯერ თითქმის აუცილებელია. ხშირად გლეხი ვერსად ვერ სესხულობს ფულს თავის საოჯახო საქმეებისათვის და თუნდაც იშოვოს, მისი დიდი სარგებლით ისე ჩაიფლება ყელამდინ ვალში რომ თავის დღეში ვეღარ ამოვიდეს ვალისა და ვახშდნან.

კოოპერაცია იხსნის გლეხებს ამგვარ შედეგიდან. იგი მოუწოდებს გლეხებს, რათა შეერთდნენ ერთ საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობაში.

ამ ამხანაგობის კასაში ყველა, რაც გინდ ლარიბი იყოს შესძლებს (მაგალითად, შემოდგომაზე, როცა გლეხი თავის ნაწარმოებს გაჰყიდის) შეიტანოს პატარ-პატარა პაი, ანუ შესატანი ფული. ამ პაის გადახდა შეიძლება წვრილ-

წვრილადაც, კაპეიკობით. ესეთი შემთხვევაში შენელო შეწირულებისათვის საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობა ერთი ასათ გადაუხდის გლეხს სამაგიერო სიკეთეს.

გაჭირვების დროს, მაგალითად, გახატუბულზე, მუშაობის დაწყების დროს გლეხი იძულებული არ იქნება ისესხოს ფული მოგახშისაგან. გლეხი მივა თავის საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობაში და, როგორც მისი წევრი, წესდების ძალით (რომელიც თვით წევრების მიერ არის შემუშავებული) გამოიტანს საჭირო ფულს შეღავათიანის პირობებით.

ასეთი კოოპერატიული დახმარება დაფუძნებულია იმ მოსაზრებაზე, რომ როგორადაც პაწაწინა ქვიშის ნამცეცებისაგან შესდგება უდიდესი მთები, აგრედვე გლეხების მიერ შეტანილი პატარ-პატარა პაი შეადგენს დიდს თანხას. ეს თანხა არსდება გლეხების მიერ იმიტომ კი არა, რომ ისარგებლონ თავიანთ მეზობლების გაჭირვებით და უზომო სარგებლის გადახდევინებით გაისქელონ ჯიბეები, როგორც იქცევიან მოგახშეები, არა, მისი დანიშნულება არის წევრთა დახმარება, საოჯახო-სამეურნეო საჭიროებისათვის ფულით ხელის გამართვა.

ყოველი გლეხი რაკი ჩაეწერება წევრად ასეთ ამხანაგობაში იწოდება კოოპერატორად. ამის შემდეგ იგი სხვებთან ერთად ადგენს ყველა წესებს და ირჩევს სანდო პირებს, რომლებსაც ანდობს ამხანაგობის საქმეების წარმოებას.

ვისაც მსურს გაიგოს, თუ როგორ უნდა დაარსდეს საკრედიტო ან შემნახველ-გამსესხებელი კოოპერატიული ამხანაგობა საჭირო ცნობებს და და-

რიგებას იპოვის ამ წერილის შემდეგ ვაგრძელებაში.

### ბ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

ხშირად გლესს სოფელში არ შეუძლიან ყიდვა თუ გინდ ნაღდზე რაიმე სამეურნეო იარაღისა. სოფლის მოვაჭრეები არა ვაჭრობენ მეურნეობისათვის საჭირო იარაღებით და თუ აქვთ რამე, ისიც უვარგისი და მამასისხლად ჰყიდიან.

ან მაგალითად გლესს მოუვიდა კარგი მოსავალი. მას ჰსურს პურის გაყიდვა; იცის, რომ პურს ქალაქში კარგი ფასი აქვს, მაგრამ უსახსრობისა გამო წაღება არ შეუძლიან, — სწორედ ამ დროს საიდანღაც გაჩნდება ჩარჩი, რომელიც სარგებლობს გლესის მდგომარეობით, ნახევარ ფასად ყიდულობს მის პურს და თანაც საწყაოთი ატყუებს. გლესი გრძნობს ამას, მაგრამ მას მეტი ღონე არა აქვს: ფული უჭირს და ამის გამო თუ არ დასთანხმდა ჩარჩის ფასს, შეიძლება უარესიც დაემართოს.

აქ მაგალითად მოვიყვანეთ პურის გაყიდვა. ასევე ჰყიდის გლესი ღვინოს, ხილს, თივა-ბზეს, მატყლს და სხვ.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გლესისთვის მის ნაწარმოების გაყიდვას. მაგრამ ამის შესრულება ჰირიანად გლესისათვის შეუძლებელია ღდეს.

შეერთება - შეკავშირება გლესებს ამ შემთხვევაშიაც დიდს დახმარებას გაუწევს. მათ უნდა დაარსონ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. ეს კოოპერატიული საზოგადოება დაეხმარება გლესებს შემდეგ საქმეებში:

როდესაც გლესს ესაჭიროება რაიმე სამეურნეო იარაღი, ან ხარ-კამეჩი, ან სხვა რამ, იგი ამის შესახებ უცხადებს საზოგადოებას. ასევე იქცევიან

სხვა გლესები — კოოპერატორები. იგი მონაწილენი ამგვარ საზოგადოებისა. ესთქვათ, გლესებმა საზოგადოებას შეუკვეთეს 20 გუთანი, 100 ბარი, 40 ფუთი სათესლე პურის ხორბალი. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა, მონსმენს რა ამ განცხადებას, ჯერ აქეთიქით მიწერ-მოწერითა და კითხვით ვაიგებს სად უფრო იაფად შეიძლება ყიდვა. იმის მაგიერ რომ იყიდოს ადგილობრივ ჩარჩებისგან ერთი-ორად ძვირად, საზოგადოება ყიდულობს ან იწერს პირდაპირ დიდ საწყობიდან ან ფაბრიკიდან ვაცილებით შეღავათიან ფასებში. ასე საერთოდ ყიდვა არა მარტო იმითია კარგი, რომ საქონელი უფრო იაფად ჯდება, არამედ კიდევ იმიტომ, რომ ღირსებითაც კარგია.

გლესები ყველაფე რს ამ საზოგადოების საშუალებით ყიდულობენ. ამით საზოგადოებას რჩება მოგება, რომლითაც სდგება კარგა დიდი თანხა. ეს უკანასკნელი არის საკუთრება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა, ესე იგი ყველა მისი მონაწილესი. ამ თანხას შეუძლიან დიდი დახმარება გაუწიოს გლესებს ვაჭირვების დროს.

მაგალითად გლესებს უჭირთ რაიმე სამეურნეო იარაღი, მანქანა (მაგ. სალენწი მანქანა) ან საქონელი (ხარ-კამეჩი და სხვ.), მაგრამ ფული კი არა აქვთ ხელთ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას შეუძლიან უყიდოს და მისცეს ნისიად, ვიდრე ისინი იშოვიან ფულს. ამასთანავე გლესს შეუძლიან ვალი გადაიხადოს წვრილ-წვრილადაც.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დიდი დახმარების გაწევა შეუძლიან აგრედვე გლესთა ნაწარმოების გაყიდვაში.

ბ. კახელიძე

(შემდეგი აქნება)



# საეურნეო ცნობები

საქართველოს სახელმწიფო ბანკი

**ყვერულისაგან წიწილების დაზრდა-** მე-  
 ქათმეობისათვის სასარგებლოა რომ კვერცხის  
 მდებელი ქათმები არა სცდებოდნენ წიწილების  
 დაზრდაში. ამიტომ ჩვენში მომჭირნე დია-  
 სანოსები წიწილებს ყვერულს აზრდევინებენ  
 ამგვარად: ორ-სამი კრუხისაგან გამოჩევილ  
 წიწილებს ესე ორი დღისას, მინამ წიწილები  
 დედას გაიციან, მოაშორებენ კრუხს. მერე  
 წიწილებისთვის სასურველ ყუდრო ალაგს და-  
 ბამენ ყვერულს მოკლე ბაწრით, დაუსმენ წი-  
 წილებს გვერდზე და იქვე დაუყრიან საკენკს,  
 რომელსაც ყვერული კენკას დაუწყებს წიწი-  
 ლებთან ერთად. თანაც წიწილებს ქვეშ შეუს-  
 ხამენ, ზოგს ზედ დაასმენ, წიწილები ყვერულს  
 წიწინას დაუწყებენ თავის ნაწი ნისკარტებით,  
 რაც ყვერულს კიდევაც იამება. ამ ერთ დღეს  
 თვალ-ყურს დაიკვირენ, წყალსაც იქ ასმევენ,  
 დააბუდებინებენ და საღამომდის ყვერული შეე-  
 ჩვევა წიწილებს, კუტკუტს დაუწყებს, შეი-

ყვარებს. მეორე დღეს კიდევ ერთად აკმევენ  
 და თვალ-ყურს იტვირენ და აუშვებენ ბაწრი-  
 დან.

ამის შემდეგ ყვერული შესანიშნავ მზრუნ-  
 ველო-ბას იჩენს ნაწილებს წიწილებზე. ვაი  
 იმას ვინც წიწილებს რამეს დაუშვებს. ვერც  
 კაკაკაი და ვერც ქორი ახლო ვერ ეკარება,  
 ისე გაავლება ხოლმე ყვერული მტრისწინააღმ-  
 დევ. თავსაც აღარ ანებებს რაც უნდა დიდ-  
 რონი ვარიები დაიზარდნენ, სულ გარშემო შე-  
 მოისხამს ხოლმე ქანდაკებზე. შემდეგ სხვა  
 კრუხისაგან თავგანებებულ წიწილებსაც იშვი-  
 ლებს ხოლმე. სასიამოვნო და სასაცილოცაა  
 როცა ეზოში ერთ ყვერულს სამოცამდე დაგ-  
 რიებული წიწილები დაუდის და ამაყად წინ  
 დაუძღვება და ბრძანებით ყველას იმორჩილებს,  
 უკუტკუტებს და სახიფათო შემთხვევაში გარ-  
 შემო შემოიკრებს და მტერს ბებრძვის.

ე. მაჩაბელი

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში

ბარიატინსკის ქუჩა, № 5.

იხსილავა უმეოფეაული სალი და ნაცალი

# თესლი

ბაღდადის ყვითელი აბრეშუმისა

ღარია დეკანოზიუვილისა

მისხალი 50 კაპ.

რედაქცია-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე